ხელშეკრულება №320702-367/32

თბილისი 06 სექტემბერი, 2018 წელი

ერთი მხრივ, სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", დირექტორის ზვიად როსტომაშვილის სახით
მისამართი : ქ. თბილისი, ალექსიძის ქ.№1, შენობა-ნაგებობა №1
საბანკო რეკვიზიტები:
მიმღები : ერთიანი ანგარიში
მიმღების ბანკი : სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი : GE24NB0330100200165022
საიდენტიფიკაციო კოდი : 202294980

მეორე მხრივ, სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოზურგეთის საჯარო სკოლა
მისამართი: ოზურგეთი, სოფელი ოზურგეთი
სკოლის დირექტორი: ნინო ღლონტი
საიდენტიფიკაციო კოდი : 237102112
საბანკო რეკვიზიტები: ვითიბი ბანკი ჯორჯია
ბანკის კოდი: UGEBGE22
ანგარიშის ნომერი : GE57BT4300000004043408

სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"-ში 2018 წლის 31 აგვისტოს შემოსული საქართველოს განათლებისა, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 31 აგვისტოს №1063975 წერილის, სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" დირექტორის ზვიად როსტომაშვილის 2018 წლის 06 სექტემბრის №107 ბრძანების, ,,საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 2^1 პუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები:

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

,,ხელშეკრულება" - სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"-სა და სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოზურგეთის საჯარო სკოლას შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

,,დაფინანსების ოდენობა" - საერთო თანხა, რომელსაც სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო" გამოუყოფს სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოზურგეთის საჯარო საჯარო სკოლას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

,,თანხის გამცემი" - სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"

,,თანხის მიმღები " სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოზურგეთის საჯარო სკოლა

1. ხელშეკრულების საგანი

სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"-ს (ორგანიზაციული კოდი 32 07 02 01) ასიგნების ფარგლებში სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოზურგეთის საჯარო სკოლას პროცესორის შესყიდვის მიზნით გამოეყოს დაფინანსება (CPV: 30200000 ; და სხვა) თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. დაფინანსების ოდენობა და წესი

2.1 ,,თანხის გამცემი" ,,თანხის მიმღებს" სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოზურგეთის საჯარო სკოლას პროცესორის შესყიდვის მიზნით გამოუყოფს დაფინანსებას (წინასწარი გადახდა) 430 (ოთხასოცდაათი ლარი) ლარის ოდენობით.

2.2. ,,თანხის გამცემი" ,,თანხის მიმღებს", ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 საბანკო დღის განმავლობაში, გადაურიცხავს, ხელშეკრულების 2.1 პუნქტით განსაზღვრულ თანხას.

3. დაფინანსების პირობები

3.1 ,,თანხის მიმღები" ვალდებულია უზრუნველყოს მიღებული თანხის მიზნობრივად გამოყენება.

3.2 ,,თანხის მიმღები" იღებს ვალდებულებას მიმწოდებელთან საბოლოო ანგარიშსწორების დღიდან, 5 **საბანკო დღის ვადაში,** სრულად დააბრუნოს მიღებული თანხის აუთვისებელი ნაწილი "თანხის გამცემის" შემდეგ ანგარიშზე: **,,სახელმწიფო ხაზინა" ბანკის კოდი – TRESGE22, ანგ. №GE24NB0330100200165022 შემოსულობების სახაზინო კოდი – 302009921,** ამასთან თანხის დაბრუნებამდე გადასახადის დანიშნულებაში საგადახდო დავალების ნომერის მისათითებლად და სახაზინო კოდის დასაზუსტებლად დაუკავშირდნენ თანხის მიმღების ფინანსური რესურსების მართვისა და დაგეგმვის სამსახურს/ბუღალტერიას.

4 მხარეთა მოვალეობები

4.1 ,,თანხის გამცემი" ვალდებულია ,,თანხის მიმღებს" გადაურიცხოს ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრული თანხა, ამავე მუხლით გათვალისწინებული წესისა და ვადის დაცვით.

4.2 ,,თანხის მიმღები" ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლით განსაზღვრული სამუშაოების შესრულება, თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად;

ბ) წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლით განსაზღვრული სამუშაოების შესრულებისას, იმოქმედოს ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად;

გ) ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები განახორციელოს და შესრულებული სამუშაოს შესახებ ინფორმაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, გახარჯული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი) სამუშაოს დასრულებისთანავე წარმოადგინოს სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"–ში. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ,,თანხის გამცემი" უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება.

დ) სამუშაოს შესრულება დასტურდება ,,თანხის მიმღების" მიერ წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე (მიღება-ჩაბარების აქტი და გახარჯული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი) .

ე) ანგარიშის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, ,,თანხის გამცემსა" და ,,თანხის მიმღებს" შორის გაფორმდება შედარების აქტი. შედარების აქტზე ხელმოწერის უფლება ,,თანხის გამცემის" მხრიდან გააჩნია ფინანსური რესურსების მართვისა და დაგეგმვის სამსახურს/ბუღალტერიას.

4.3 სახელმწიფო შესყიდვის პროცედურაზე, სამუშაოს შესრულების ვადაზე, ხარისხზე, გარანტიაზე კონტროლი და პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება თანხის მიმღებს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 „თანხის გამცემს" ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულებაზე;

5.2 „თანხის მიმღები" ვალდებულია უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

5.3 „თანხის გამცემი" ვალდებულია კონტროლის შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების შესახებ წერილობით აცნობოს ,,თანხის მიმღებს".

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობის შემთხვევაში, ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს აღნიშნულის თაობაზე;

6.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი სახით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

7 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში წარმოიშვა შესრულების შემაფერხებელი გარემოებები, მაშინ შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;

7.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

8 ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

8.1 ,,თანხის გამცემს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება ,,თანხის მიმღების'' ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ ,,თანხის მიმღებს" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების და შესყიდვების განხორციელება;

ბ) თუ ,,თანხის მიმღებს" არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

8.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „თანხის მიმღებს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ ჩაითვლება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობად თუ აღნიშნული წარმოადგენს ფორს-მაჟორული გარემოების შედეგს;

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი;

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10. სხვა პირობები

10.1 „თანხის გამცემმა" და „თანხის მიმღებმა" ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა ერთმანეთში შეათანხმონ მათ შორის ხელშეკრულების ირგვლივ წარმოქმნილი ყველა უთანხმოება და დავა;

10.2 ხელშეკრულება შედგენილია ხუთი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა თანხის მიმღებს, ხოლო ოთხი ეგზემპლარი თანხის გამცემს.

10.3 ამ ხელშეკრულების 10.1 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

„თანხის გამცემი"	„თანხის მიმღები "
სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"-ს დირექტორი ზვიად როსტომაშვილი	სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოზურგეთის საჯარო სკოლის დირექტორი ნინო ღლონტი
.....	.....